ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 176
ავგისტოს 20, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 176
ავგისტოს 20, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
საბუხჰალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა
(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—21)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში
(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25⁰/₀-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საჟანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი
ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

(10—6.—9)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დ ე პ ო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მ ა ღ ა ზ ი ა
(სასახლის ქუჩიდგან)
გადაის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების სახლში, (განოვის ქუჩა, № 6) იძლევა ქირით

სადგური,

7 ოთახიანი ყოველის თავის მოწყობილებით წელიწადში 1200 მანეთად. ეს სადგური ამ დღეებში ოტტენმა დასცალა.

(3—400—3)

ექიმი ალ. მაღალაშვილი
მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოთ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის**. წინაამდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მასზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფულიკი დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით: Квирилы. Квирильское Театральное Т—во.—პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა
კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა.

(10—6.—1).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ბ ი თ:

კ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი, რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ პორუჩიკობა: ქუთაისის სადარაჯო პოლიციის ოფიცერს ჯაყელს. სტანისლავა მე-3-მე ხარისხისა მახვილებით მე-16-ე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა პოლკის ტიტულიარნი სოვეტნიკს ავაკუმ გაფრინდაშვილს.

ტფილისი

◆ გუშინ, 18 აგვისტოს, დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზედ გვამი უდროვოდ გარდაცვალებულის დრამატურგისა და მწერალისა ავქ. ან. ცაგარლისა. დილის 8 საათზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი განსვენებულის სადგომზედ. ავჭალის ქუჩის დასაწყისი სულ სავსე იყო ხალხით. მცირე ლოცვის შემდეგ კუბო გამოასვენეს განსვენებულის ნაცნობებმა და მეგობრებმა. სამგლოვიარო პროცესია მგალობელთა და შემოსილ სამღვდელოთა წინ გაძღოლით გაემართა ვარანცოვის ძეგლისკენ, გაიარა ხიდი, ავიდა ბარიათინსკის ქუჩაზედ და შემდეგ წმ. გიორგის ქუჩისაკენ შეუხვია. კუბოს სულ ხელით მიასვენებდნენ. ქვაშვეთის ეკკლესიასა და ეკკლესიის გალავანში უკვე ხალხი მრავლად შეკრებილიყო. მწირველი იყო არხიმანდრიტი გიორგი. სიტყვა წარმოსთქვა მ. მარკ. ტყემალაძემ და ვ. კარბელაშვილმა. ანდერძის აგების შემდეგ მიცვალებული ხელით მიასვენეს კუკიის სასაფლაომდე მისის ნიჭის პატივის მცემლებმა. გოლოვინის პროსპექტზედ ქალებმა წაასვენეს კუბო მხრებზედ შემდგომით, რამდენსამე მანძილზედ. 2 საათს ბევრი აღარა აკლდა-რა, როცა პროცესია მივიდა სასაფლაოზედ. მცირე ლოცვის შემდეგ, ვიდრე კუბოს საფლავში ჩაუშვებდნენ, წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა და წაკითხულ რამდენიმე ლექსი განსვენებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

◆ ჩვენ მივიღეთ შემდეგი სამძიმრის დეპეშები:

სიღნაღიდან ბ-ნის მაჩხანელისაგან: „ქიზიყი ჰგლოვობს ჩვენის ნიჭიერის დრამატურგის ცაგარლის გარდაცვალებასა“.

კავკავიდან პართენ გოთუასაგან: აქაური ქართველი საზოგადოება დიდად შეწუხებულია ნიჭიერის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის დაკარგვით. დღეს ჩვენს ქართულს ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი. ვიზიარებთ რა საზოგადო მწუხარებას, გულითადს სამძიმარს მოვახსენებთ ნატალია მერაბის ასულს.

სოხუმიდან ხახიაშვილისაგან: სოხუმელნი ქართველნი სრულიად საქართველოსთან ერთად ვგლოვობთ ნიჭიერის დრამატურგის ასიკო ცაგარლის უდროვოდ გარდაცვალებას და ვსთხოვთ უზენაესს ეგ დიდი დასაკლისი მალე შეუვსოს ჩვენს ღვიძლს სცენას.

◆ თიანეთში, ჩოლოყაშვილების მამულში აღმოჩენილ ნავთის მადანში მუშაობისა და საქმეების ხელმძღვანელად მადნის პატრონთ კრუბიშიჩსა და შუმახერს დაუნიშნავთ თავ. ლევან ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი, წინანდელი მმართველი „რუსულის ნავთის ბაქოს საზოგადოებისა“ („Бакинское общес. русск. нефти“).

◆ კვირას, 18 აგვისტოს, იყო განგრძობა დურგალთა ამხანაგობის საზოგადო კრებისა ბ-ნ დვალიშვილის თავმჯდომარეობით. ამორჩეულ იქმნა გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნის ქურდიანის მაგიერ ბ-ნი გიორგი მიკირტუმოვი. სარევიზიო კომისია ისევ ძველი დარჩა.

◆ ამ თვის ბოლო რიცხვებში ტფილისის გუბერნატორის ნებართვით „ტფილისის ებრაელთა საზოგადოება“ სობრანიის საზაფხულო სადგომში გაჰმართავს ბაზარს ცხინვალში ცეცხლისაგან დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ.

◆ იმ თვის 29 იაკუბოვიჩის აფთიაქიდგან წაღებულ წამლით ავადმყოფი მოიწამლა; ამ თვის პირველ რიცხვებში, როგორც გავიგეთ, ამ საქმის გამოკვლევა კავკასიის საექიმო მმართველობას მიუნდვია ტფილისის გუბერნიის ექიმის თანაშემწის ბ-ნ მაჰვარიანისათვის.

◆ რაც ქალაქიდგან ოსმალოელი გადმოხვეწილი სომხები წავიდნენ, მას აქეთ ტფილისში მუშის ფასმა შესამჩნევად აიწია.

◆ გუშინ, 18 აგვისტოს, ხალხის მატარებელმა, რომელიც ბაქოდგან დილის ათ საათზედ უნდა მოსულიყო ტფილისში, დააგვიანა თერთმეტის საათით და მოვიდა ტფილისში საღამოს 8 საათ. ამ დაგვიანების მიზეზი ის იყო, რომ ამ ლიანდაგზედ ბარგის მატარებლები ერთმანეთს დასჯახებოდნენ და გზა წაეხდინათ; ამბობენ, კაცი არ იმსხვერპლა ამ უბედურმა შემთხვევამაო. ამიტომ ბათუმში მიმავალი მატარებელი, რომელიც 6 საათ. და 10 წამზედ გადის ტფილისიდგან, გაემგზავრა მხოლოდ საღამოს ცხრის ნახევარზედ.

◆ რადგანაც საქონლის ფასმა შესამჩნევად იკლო, ამიტომ ქალაქის ხორცის დუქნების უფროსს გამგეს ბ-ნ ალიხანოვს განზრახვა აქვს სთხოვოს გამგეობას, რათა შემცირდეს ფასი ხორცზედაც ქალაქის დუქნებში.

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქალაქის გამგეობა, აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც მთავრობის წინაშე შუამდგომლობს ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსებისათვის. ამაზედ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გამოგზავნილ სამრევლო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ სკორვატოვსკისთანაც ჰქონიათ მოლაპარაკება, რომელსაც ურჩევია ქალაქმა სამოქალაქო სკოლები დახსნას შემცირებულის კურსითაო, რომ იქიდგან ბავშვებს შეეძლოთ პირ-და-პირ გიმნაზიის მეოთხე კლასში შესვლაო.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ 17 ამ თვეს სოფ. მუხრანის ახლო, მინდორში მუშაობის დროს, მიწის მზომელს ბ-ნ სახაკვის დასცემია მეხი და იქვე სული განუტევებია; მიზეზი ის ყოფილა, რომ წვიმის დროს სახაკვის ქოლგა გაეშალა, რომელსაც ტარის თავზედ რკინა ჰქონოდა გადარტყმული; იქვე მყოფი მუშები მშვიდობით გადარჩენილან.

◆ გუშინ, 19 აგვისტოს, დანიშნული იყო ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო საბჭოს კრება, რომელსაც, ქალაქის თავის მოადგილის შესტაკოვის თანადასწრებით, უნდა განეხილა მომავალ 1903 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ 19 ამ თვეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნული იყო იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს სხვა-და-სხვა საგნები საეკკლესიო ღვინის (ზედაშის) შესახებ. ამ კრებაზედ მოწვეულ იქმნა ბ-ნი სტაროსელსკიც. ამავე კრებას უნდა დაესწროს პირველად, ყიზლიარის ქალაქის თავის თხოვნისამებრ, ყიზლიარის მევენახეთა წარმომადგენელიც.

◆ ხვალ, 21 ამ თვეს, დანიშნულია ბ-ნ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით იმ კომისიის წევრთა სხდომა, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ხორცის დუქნების მოწყობა. ამ სხდომაზედ, სხვათა შორის, განიხილება ისიცა, თუ რა დროს და როდის დაარსდეს ვერაზედ და სხვა ადგილებში ხორცის დუქნები. ამავე სხდომაზედ შემცირებულ იქმნება ნიხრი ხორცზედა.

◆ უკანასკნელ სხდომაზედ გამგეობის წევრმა ბ-ნმა კოკჩაევმა სთქვა, რომ გადავათვალიერე-რა ქალაქის ზოგიერთი საქმე, შევხვდი ასეთს გარემოებასაც: ქალაქის მმართველობაში მოსამსახურეთ ფასი ეძლევათ საღამოს სამუშაოშიაც, როცა ამ ფულის გაღება სხვანაირად შეიძლებოდა მოსამსახურეთავე სასარგებლოდ. თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმათთანა მოსამსახურეებს, რომელთაც არა თუ თავიანთ მუშაობით, არამედ თავიანთ რჩევითაც მოაქვთ სარგებლობა საქმის წარმოებისათვის, მაშინ საღამოს მუშაობაზედ დაჯილდოვებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. შემჩნეულია, რომ ზოგიერთა მომუშავენი საქმეს საღამოსთვის არჩენენ, როცა შეიძლებოდა ესევე საქმე დღითაც მოესწროთ. არჩენენ იმიტომ, რომ მეტი ფასი აიღონ. ბ-ნ კოკჩაევის ამისთანა წინადადებაზედ გამგეობამ ვერაფერი გადასწყვიტა.

◆ ალექსანდრეს ბაღის თავში, სამხედრო მუზეუმის მახლობლად, ბარიათინსკის ქუჩის ჩასახვევში ერთ დროს კიოსკი იყო აგებული, სადაც ჟურნალ-გაზეთები იყიდებოდა; ამ რამდენსამე საჟენ მიწაზედ ქალაქის გამგეობას და საინჟინერო მმართველობას დიდი ხანია დავა ჰქონიათ ერთმანერთში; ბოლოს დროს ეს ადგილი საინჟინერო მმართველობას დარჩენია; ამ ცოტას ხანში საინჟინერო მმართველობას ვიღაც ვართან ბაბოვისთვის მიუცია ეს ადგილი იჯარით, რომელსაც შეუდგენია გეგმა კიოსკისა და წარუდგენია ქალაქის გამგეობისთვის დასამტკიცებლად; გამგეობას ეს თხოვნა უკანვე დაუბრუნებია და უთქვამს: ეს ადგილი ჩვენიაო. ვართან ბაბოვს ახლა საინჟინერო მმართველობისათვის მიუმართნია და ვნახოთ, ეს საქმე რათ გათავდება.

◆ 18 ამ თვეს მე-7 საბოქაულოში სამხედრო საკვებ მაღაზიის კანცელარიიდგან ვიღამაც მოიპარა ორი შარვალი, ორი მუნდირი და ერთი წყვილიც ფეხ-საცმელი. გამოძიება სწარმოებს.

ჩვენებური ამბები

ს. არბო. მარიამობისთვის 18-ს გადახდილ იქმნა პანაშვიდი ნიჭიერის დრამატურგის, უდროოდ გარდაცვალებულის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მრავალი საზოგადოება. სხვათა შორის, აქა ბრძანდებოდნენ ან. ნ. ფურცელაძე, ქეთევან ლუარსაბის ასული ყურულისა, ქართული სცენის მოღვაწე ელისაბედ ჩერქეზიშვილისა, ილ. ს. მაკარაშვილი თავისის მეუღლით, ეკატირინე მიქელაძისა, ნ. ლომაური და სხვანი.

ქუთაისი. 16 ამ თვეს 30-დე აქაურ სადგურზე თავ-შეყრილმა პატივისმცემელმა ქალვაჟმა გააცილა პროფ. ვ. პეტრიაშვილი რიონამდე და ბათუმით გაისტუმრეს ოდესაში. პატივცემული სტუმარი დიდის ალერსით გამოეთხოვა თავისს პატივისმცემლებს.

დღეს დაბრუნდა აქ აგერ მეათე დღეა სამსახურის გამო ოზურგეთსა და გურიის სოფლებში მყოფი ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი, ხოლო გუშინ წავიდა იქ სამსახურის გამოვე კავკავიდგან ჩამოსული გუბერნატორი სმაგინი.

ამ დღეებში დაბრუნდა პეტერბურგიდგან სათავად-აზნაურო ბანკის მმართველი მელნიკოვი. ჯერაც არავინ იცის დანამდვილებით, რაზედ იყო ბ. მელნიკოვი პეტერბურგში.

—

გურია. 9 აგვისტოს ს. იანეთში, დილით, აქ მცხოვრებს ბორის პოტკოზინს მიუხდნენ შეიარაღებული კაცები, როგორც ამბობენ 20 კაცამდე. წაიღეს ფულად და ბანკის კუპონებათ 4,000 მანეთამდე—წაიღეს აგრეთვე ერთი თოფი ახალის სისტემისა. ამის გამო მეორე დღესვე აქ მოვიდა ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი და შეკრებილ ხალხს უბრძანა, რომ ყოველივე ღონე ეღონათ ქურდების აღმოსაჩენად—წინაალმდეგ შემთხვევაში ნაქურდალი უნდა ეზღოთ. სოფლელებმა აჩვენეს, რომ ისინი დიდ პატივს სცემენ ბ. პოტკოზინს როგორც მათ ყოველ გასაჭირში დამხმარე პირს.

15 აგვისტოს ნაშუაღამევს ბასილეთის საზოგადოებაში სოფ. ბუკნარში—წისქვილიდგან გამოუძახეს გლეხს ბასილა დოლიძეს და თოფით მოკლეს. მკვლელები არ შეუპყრიათ. მიზეზს ასახელებენ კერძო მტრებს დოლიძისას, რომლებიც ბლომად ჰყოლია.

ამ დღეებშივე სად. ჯუმათის ახლო აზ. ჰყონიას დაუწვეს სამზადი სახლი.

15 აგვისტოს ოზურგეთში მობრძანდა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სმაგინი. დაბრუნდა აგრეთვე მაზრის უფროსი ლაზარენკო, რომელიც აგარაკად იყო წასული.

—

რაჭა. გასულ წელს თუ წყევლა კრულვით იხსენებს რაჭველი, არც ამ წლის არის მადრიელი, ვერც ეს წელიწადი შეიქნა რაჭველებისათვის ნასიბ-ბარაქიანი. 7 აგვისტოს საერთოდ მთელ რაჭაში მოვიდა საშინელი კოკისპირული წვიმა, წვიმას თან მოჰყვა კაკლის ოდენა სეტყვა და მთლად გაანადგურა ყანა-ვენახი. სეტყვას იმდენი ზარალი არ მიუცია, რამდენიც ნიაღვარს. ადიდდნენ საშინლად პატარა მდინარეები, დაიტაცეს ხიდები და წისქვილები: ისეც უგზო-უკვლო რაჭა, ეხლა სულ კარჩაკეტილი შეიქნა. ერთად-ერთი გზატკეცილი ქუთაისისკენ მიმავალი საშინლად გაფუჭდა. ერთი კვირა არის მას აქეთ, რაც აქედან ომნიბუსი ან „ლილეიკა" აღარ გასულა ქუთაისისაკენ; როცა გზა კარგი იყო, მაშინ-კი ყოველ დღე გადიოდა. ფოსტა ცხენებით მიაქვთ. ამას წინედ „ივერიაში" ვსწერდით: წელს ჭირნახულებს კაი პირი უჩანს, იმედია წელს მაინც გამოვიძღებთ რაჭველები კუჭსაო. ეს ჩემი წინასწარმეტყველება მართალი ვერ გამოდგა და კიდევ რაჭველებს საშინელი სიმშილი გველის. რომ იტყვიან: უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, წელს ეს ანდაზა ჩვენზედ მართლდება. გასულის წლის სეტყვისაგან ამოვარდნილ რაჭას, წელსაც ამისთანა უბედურება დაატყდა თავს. რა ქნას საწყალმა გლეხმა, რათი მოიშოროს თავიდან მღვდლის დრამა, სახელმწიფო ხარჯი და ან სხვა წვრილმანი გადასახადი?!

სოფელ კვაცხუთს 6 აგვისტოს დღესასწაულობენ ფერისცვალებას. ამ დღისათვის მთელი წელიწადი უნდა მოემზადოს აქაური გლეხი ან აზნაური. მე ვიცი იმისთანა გლეხი, რომელსაც რთველზე ხუთი ან ექვსი კასრი ღვინო მოუვა, ჩაასხამს ქვევრში, მთელი წლის განმავლობაში თითონ ცივ წყალს აკვდება, ფერისცვალება დღეს-კი ერთად უნდა ჩანთქან თითონ და მისმა მოყვარე სტუმრებმა.

დაბა ონში 6 და 7 აგვისტოს კიდევ საშინელი მიწის ძვრა იყო. ხალხი ძალიან შეშინებულია და არ იციან, საით წავიდნენ. ყოველ კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ არის ხოლმე მიწის ძვრა. ეჭვი არ არის, ასე ხშირად მიწის ძვრას კარგი არა მოჰყვება-რა.

ვანო ჰიჰინაძე.

—

არგვეთი (შორაპნის მაზრა). ჭეშმარიტებაა, რომ კარგის გზების გაყვანა სხვა-და-სხვა კუთხეებში და ამით მათი დაახლოვება იმ ცენტრთან, რომელიც წინ მიუძღვის მთელს მხარეს, უპირველესი საშუალებაა მთელის ქვეყნის ცხოვრების წარმატებისა ყოველ-მხრივ. მგონია, არც იმას უნდა სჭირდებოდეს ჩიჩინი, რომ გზების გაკეთება საზოგადო ვალია, განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა, ამიტომ რომ კარგი გზები ყველასთვის ერთნაირად საჭიროა. თითქმის ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა არა სასურველ მდგომარეობაშია გზების უვარგისობის მხრივ და განსაკუთრებით-კი ჩვენი ტანჯული არგვეთის მხარე. აქ თავისუფალი მისვლა-მოსვლა შესაძლოა მხოლოდ ზაფხულობით, დანარჩენს დროს-კი, რომ არ გავადიდოთ, ვაჟკაცური თავგანწირულება გჭირდება, რომ ათი ვერსის მანძილი გაიარო და, თუ გაიარე, გადარჩი წყალსა და ტალახში დაღრჩობას, სამი-ოთხი დღე მაინც დაგჭირდება დაკარგულის ძალ-ღონის მოსაკრებად. რაც შეეხება ნაწარმოების გატან-გამოტანას, ეს რომ შეუძლებელია, ამას შემდეგიდგან დაინახავთ: საქარიდგან (ზედვე აკრავს ყვირილას) რომ ყვირილაში ერთი საპალნე ღვინო ჩაიტანო, საჭიროა ხუთი უღელი ხარკამეჩი! სხვა სოფლებიდგან შეუძლებელია რაიმეს დაძვრა, სანამ ზაფხული არ დადგება, როდესაც სულ სხვა საქმეების კეთებაა საჭირო...

ამგვარად, გზების უვარგისობა დამაბრკოლებელი მიზეზია მცხოვრებლების კეთილდღეობისა, მაგრამ გზების უვარგისობის მიზეზი ვინღაა, რაღაა?? ნუ თუ თვითონ ადგილობრივს საზოგადოებას არ შეუძლია გზები გაიკეთოს? ჩვენში არგვეთში დაუსახლებელი ადგილი არ არის, სოფელი სოფელზეა მობმული. ნუ თუ სოფლელებს თავისსავე სოფელში, და არა სხვაგან, არ შეუძლიანთ გზა გაიკეთონ?! სულ ადვილად, თუკი მთელი სოფელი მონაწილეობას მიიღებს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ კეთილის და მასთან მძიმე საქმის კეთება თავს ატყდება ისედაც ცხოვრებისაგან დაბეჩავებულს გლეხ-კაცობას და იმათში კიდევ იმას, ვინც უფრო ღარიბია. მცხოვრებლების დანარჩენი ნაწილი-კი—თავად-აზნაურობაა, სამღვდელოება, მასწავლებელი თუ სხვა, ყურსაც არ იბერტყს, წარმოიდგინეთ. სამარცხვინოდაც-კი მიაჩნიათ გზების კეთება!! დროა, ამათაც შეიგნონ, რომ მარილნი არიან ქვეყანისანი და მოვალენი უწინამძღვრონ ერს საერთო სარგებლობისათვის.

ჩხარში ამ მომავალს წელს მცხოვრებლებს მოუვიდათ აზრად გზების გაკეთება, მიხვდნენ, რომ ტალახში დაღრჩობის ასაცდენად საჭიროა ქვიშის მოყრა და მეტი არაფერი. როცა ამ გვარად ამერიკა აღმოაჩინეს, აღიძრა მეორე კითხვა—ქვიშას ხომ მოტანა უნდა, ვინ მოიტანსო? ეს საქმე ჩხარის მოხელეებმა მუხურლებს დაავალეს და ამ სახით ჩხარმა სხვის ძალღონით შეიძინა კარგი გზები!..

—რ.—

—

შუსართავი (ქვედა აჭარა). რაც ხანი გადის, მით აჭარა ცოტ-ცოტა წარმატებას ეძლევა. ადრე აქეთ ხუთ კაცზედ ნაკლები ვერ წავიდოდა გზათ, ყველგან შიში იყო ოსმალოდამ გადმოსულ ყაჩაღებისა, დღეს-კი, ბათუმიდამ ახალციხემდე გზატკეცილია გაკეთებული 150 ვერსზედ, მგზავრს ბუზსაც ვერავინ აუფრენს. მესხეთ-ჯავახეთი და მთელი სამცხე ამ გზამ კარგად დაუახლოვა ბათუმს.

აჭარაში დღემდე ერთი სკოლა არსებობს, ზედა აჭარას, სოფ. ხულოს. მეორე სკოლის შენობას ახლა აკეთებენ ქვედა აჭარის დაბა ქედას. სკოლის შენობა საკმარისად ფართო შენობა არის და მის აშენებას 9,000 მანეთამდე დასჭირდება. სკოლას, სხვათა შორის, სხვა-და-სხვა სახელოსნო განყოფილებაც ექმნება, ნამეტურ ბაღოსნობისა. სკოლის შენობა კეთდება ქედის მაზრის-უფროსის შრომით და ცდით და ხალხისაგან შეწირულობით და მოგროვილის ფულით. შენობა მალე დამთავრდება.

აჭარაში სხვა სასიხარულო წესებიც შემოაქვს ადგილობრივ გამგეობას. მაგალითებრ, მთელს აჭარაში იხსნება ფოსტები. უნდა მოგახსენოთ, რომ ადგილობრივ წერილებს გარდა, აქ საზღვარ-გარეთიდგანაც მოდის წერილები, რადგანაც დიდი ძალი ქართველობა არის ოსმალეთში გადასახლებული და მათ თავიანთ მონათესავეებთან მიწერ-მოწერა არ შეუწყვეტიათ.

სკოლის შენობისა ადგილობრივ მცხოვრებნი დიდი წინაალმდეგნი იყვნენ. ფანატიკ ხოჯების და მოლებისაგან გაბრიყვებულნი უფრო სასტიკ წინაალმდეგობას აცხადებდნენ, სკოლა არ გვინდა, არც რამე მასალას მოვიტანთ, ხელსაც არ ვახლებთ, რადგანაც ასეთი სკოლა ჩვენ შვილებს გადააკეთებს, გამოიცვლებიანო. ამათი ფანატიკოსობით აღბორგებული წინაალმდეგობა ქედის უფროსმა ჯეროვან დარიგებით აქარწყლა და, ამით რომ ვერას გახდა, უკანასკნელ მახვილი და შიში იხმარა და მხოლოდ ამით დააწყნარა ფანატიკოს მოლებისა და ხოჯების წინაალმდეგობა.

ქედა აჭარის შუაგულად ითვლება. მას გარშემო დიდძალი სოფლები აკრავს. ამავ დაბაში არსებობს ქსენონი, არის ექიმი, დოსტაქარი და ბებია. ექიმად იმყოფება ბ-ნი შენგელია, რომელმაც თავისი ენერგიული შრომით და ცდით ქართველ მუსულმანებს წამლობა და მისი მიღება საკმარისად შეაყვარა. აქამდე აჭარლები ქართველის კაცისაგან არამც თუ წამალს, არამედ სასმელად წყალსაც-კი არ იღებდნენ, რადგანაც ქრისტიანისაგან ამის მიღება მათ უსჯულოობის ნიშნად მიაჩნდათ, დღეს-კი ეს ასე აღარ არის და მთელს ოჯახობაში ექიმსა და დოსტაქარს აქა-იქ ავადმყოფებთან სიამოვნებით იხმობენ და წამალსაც იღებენ.

თუმცა აქეთ ბევრს რამეს ემჩნევა წარმატების ნიშნები, მაგრამ ქართველთ მტრების მოლებისა და ხოჯების ფანატიკოსობას მაინც იჯერებენ.

ოსმალეთში გადასახლების პროპაგანდა თავისებურად სწარმოებს და დღესაც კიდევ მიდიან ოსმალეთში დასასახლებლად. ამას წინედ აქ მოხდა შემდეგი შემთხვევა: ოსმალეთში ამ რამდენიმე წლის წინედ გადასახლდა 100 მოსახლე, ქვაბლიანის მცხოვრები; ესენი ოსმალეთში ისე გაქეციანდნენ და გაღატაკდნენ, რომ უკანასკნელ კინაღამ შიმშილით დაიხოცნენ და ამიტომ არჩიეს ისევ საქართველოში, ქვაბლიანში დაბრუნება.

როცა ესენი საქართველოში მოდიოდნენ, მათ გზაში შეჰხვდნენ 50 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა, რომელნიც აჭარიდგან ოსმალეთში მიდიოდნენ დასასახლებლად. მგზავრებს ერთმანეთში ლაპარაკი მოუხდათ. ქვაბლიანელებმა აჭარლებს უამბეს თავიანთი თავ-გადასავალი, სიღარიბე, შიმშილი, მწუხარება, სიშიშვლე და წარმოუდგენელი, აუტანელი ბავშვების ტანჯვა და მწუხარება, მაგრამ აჭარლებმა არ ირწმუნეს, სიტყვა არ დაუჯერეს. ქვაბლიანელთ უთხრეს შემდეგი:

—ღმერთი, რჯული, ნუ მიხვალთ ოსმალეთში, თორემ იქ მშივრები დაიხოცებით, ჩვენსავებ ბევრს ინანებთ და ბოლოს შინ დასაბრუნებელი ფულიც არ გექნებათო.

აჭარელთ არ შეისმინეს და მოლებისა და ხოჯების ამყოლნი თავიანთ დასაღუპ გზას გაუდგნენ. ასე და ამ გვარად, ვნახეთ ერთი წყობა ოსმალში გარდასულებისა, რომელნიც თავიანთ ქვეყანაში ცრემლით ბრუნდებოდნენ და თან თავიანთ გამბრიყვებლებს სწყევლიდნენ და ამავ დროს ვნახეთ ისიც, თუ მეორე წყობა ასევე გაუბედურებულებისა როგორ მიდიოდა თავის დასაღუპ ადგილისაკენ.

— არა, ჩვენ ასე არ მოგვივა, — ამბობდნენ იგინი, ჩვენი საქმე სხვაფერ წავაო.

დღემდე ოსმალეთის მთავრობა გარდასახლებულთ ცოტა პატივისცემით ექცეოდა, დღეს-კი ბევრს ადგილებს უფასოთ აღარ აძლევს. ვისაც საქართველოში თავის მამული ფასით გაუყიდნია, ის ოსმალეთში მამულს მხოლოდ შესყიდვით მიიღებს, უფასოთ არას აძლევენ, ცოტა ეს-კი აბრკოლებს მათ გარდასახლებას.

ხანი გადის, მაგრამ ქართველ მაჰმადიანთა შორის სისხლის აღების ჩვეულება მაინც არ ვარდება. აჭარელნი დღეს უცხოელებს აღარ მტრობენ, მხოლოდ ერთმანეთს ხოცენ, სჩეხენ და სჭრიან. დღე არ გავა, რომ სადმე სისხლის აღება და მტრობა არ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში სისხლის ამღები ყოველთვის სარგებლობს და იგი ერთობ მალე გადადის ოსმალეთში. დღეს ოსმალეთი და ნამეტურ ხოფა, ირიზე, ტრაპიზონი და სხვა ქალაქები სავსეა კაცის მკვლელებით. რამდენიმე აჭარელი კაცის მკვლელნი ამ მოკლე დროს ტრაპიზონში იქმნენ დაჭერილნი.

დღეს ყველა იგინი ტრაპიზონის ფაშის განკარგულების ქვეშ არიან. აჭარიდამ ამისთვის მოხელეები იქმნენ გაგზავნილნი, რომ ჩამოიყვანონ. ცოტა არ იყოს, ოსმალეთის მთავრობა ზოგიერთ ყაჩაღებს ჰფარავს.

ერთი სიტყვით, მოკლეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ „სისხლის აღებისაგან" მეტად დიდი უბედურება ხდება აქა-იქ და მის მეოხებით ტყეში გავარდნა და ყაჩაღობაც იმართება. ციმბირშიაც ბევრი იგზავნება.

ამ ბოლოს დროს, აჭარელთ შორის, ზოგიერთმა ძველმა წესებმაც იწყეს ამოვარდნა, მაგალითებრ, აქამდე ქალების გათხოვებაში მისი პატრონები ფულს იღებდნენ საქმროსგან; ვისაც ბევრი ქალი ჰყავნდა, ის სთვლიდა თავისს თავს ბედნიერად, დღეს-კი ეს ასე აღარ არის და ბევრს ალაგას ქალის პატრონები აძლევენ ფულს, ოღონდ კარგი სიძე შეხვდეთ.

უკანასკნელ დღეებში, მთავრობისაგან ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს გამოეცხადათ, რომ ყველა თქვენი ტყეები სახელმწიფოდ არის შერაცხილი და თქვენ უფულოდ სარგებლობის უფლება არ გესპობათ, ხოლო თუ გასაყიდად წაიღებთ სადმე შეშას, იმაშიკი ხარჯი უნდა გადაიხადოთო.

ზ. ჭ.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთ „Matin"-ში მოყვანილია შემდეგი ცნობა კაპიტან გუმბერის შესახებ.

სამხედრო მინისტრმა ანდრემ მიტომ-კი არ დაითხოვა ადიუტანტობიდგან კაპ. გუმბერი, რომ მასზედ უკმაყოფილოდ ყოფილიყვეს, არამედ მიტომ, რომ ამ ოფიცერმა ორი წელიწადი დაჰყო მინისტრის კაბინეტში და

ფელეტონი

⁂

(თქმული ა. ცაგარლის დასაფლავებაზედ)

არ მოკვდება, კვლავ იცოცხლებს
„ხანუმა" ვინც დაგვიწერა,
„ციმბირელით", „ქართველ დედით"
ლაჩრებს გული აგვიძგერა.

—

„აკოფ, პეტო, ავეტიქა"
„ძმა ბიჭები" აგვიწერა;
ხან გვაცინა, ხან გვატირა,
ჩანგი მართლად აგვიჟღერა.

—

ის წურბელა მაზუთოვი
და ქლესოვა გაიძვერა
დაგვანახვა, შეგვაძულა
და გული მით მოიჯერა.

—

ის მოკვდება, ვინც ვერ შესძლო
სამშობლოსთვის ემსახურა;
ასიკო-კი კვლავ იცოცხლებს,
რადგან ჩვენ გულს ესადგურა.

აკ. წულაძე.

გურიის მთავარი მამია V

ისტორიული ამბავი

(ვუძღვნი კნ. ელეონორა გურიელისას)

I

როდესაც მთავარ-მართებელმა ტორმასოვმა იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს დღე არ მოუსვენა და ღამე, რომ დეპუტაციის გაგზავნა რუსეთის ხელმწიფესთან, რაც შეიძლება, დაეჩქარებინა, სოლომონ მეფემ ახალი ხელშეკრულობა მოსთხოვა ხელმწიფეს და, სხვათა შორის, ისიც ჩაუწერა, რომ „მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოწყალებით იმერეთის სამეფო ჩემს ხელში უნდა იქმნესო და ჩემს სიკვდილს შემდეგ ჩემის შვილებისა და შთამომავლობის ხელშიო. ჩემის მემკვიდრეების ტახტზედ ასვლის დამტკიცება რუსეთის ხელმწიფის ნება უნდა იყოსო. გურია იმერეთის ნაწილია და ნურასოდეს ნურც განაშორებენო".

როგორც ეს მუხლი ახალის ხელშეკრულობისა, ისე მთელი ეს ხელშეკრულობა არ იქმნა შეწყნარებული, რადგან მთავარ-მართებელი ტორმასოვი არ დაეთანხმა ძველ ხელშეკრულობის შეშლას.

ამ დროს გურიას, თუმცა იმერეთის ნაწილად ითვლებოდა, გული უფრო ოსმალეთისაკენ ჰქონდა და არა იმერეთისაკენ. ოსმალეთი სულ ახლოს ესაზღვრებოდა გურიას. გურიის მთავრებიც დიდს პატივისცემაში ჰყავდათ ოსმალებს, თუმცა გურულებს არაფრად მოსწონდათ ოსმალების ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და ხასიათი.

ყველაზედ უწინ გურიის მთავარმა სიმონ გურიელმა მოიფიქრა ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება და რუსეთის ხელმწიფის კალთებ ქვეშ თავის შეფარება; შემდეგ მისის სიკვდილისა მეუღლე მისმა კნ. მარინე გურიელისამ და შვილმა მამია სვიმონის ძემ გურიელმა მაშინდელ მთავარ-მართებელს მოსვენება არ მისცეს, ბარათს ბარათზედ სწერდნენ და ემუდარებოდნენ, რომ ეკისრა შუამდგომლობა რუსეთის დიდ ხელმწიფის წინაშე და გურიის სამთავრო თავის მფარველობის ქვეშ მიეღო.

„ახლა-კი თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ჩემს „აპუწულ" საქმეებს და არეულს სამთავროს რამე ეშველება", სწერდა მამია სვიმონის ძე გურიელი ტორმასოვს 15 დეკემბერს 1809 წელს. „რადგან ღონისძიება მოვიპოვე და თქვენამდის მოვაღწიე, სრული იმედი მაქვს, რომ გულ-მოდგინედ მოისმენთ ჩემს სათხოვარს და ჯეროვან რჩევას მომცემთ, რათა ჩემი სურვილები შევისრულო. საქმე ის არის, თვენო ალმატებულებავ, რომ ოდესმე, შემთხვევით იყო თუ სხვაფრივა, ჩვენ ჩავვარდით ოსმალეთის ხელში და, როგორც მორჩილი, ვემსახურებოდით, ნებისა და სურვილისამებრ მათისა. ამგვარ მორჩილებისა და ერთგულ სამსახურისათვის არც ჩვენ ვიყავით მათგან უყურადღებოდ. მონიჭებული გვქონდა თავადობა, მთავრობა და ამის დაგვარ შესაფერი მთავრის მანტია, კვერთხი და მახვილი. ვიწოდებოდით ისეთსავე მთავრებათ, როგორც მეგრელიისა დადიანი ანუ ათაბაგნი. მაგრამ მათი პატივისცემა და მონიჭებული დიდება ჩვენთვის ფარადაც არ ჰღირდა, რადგან ურწმუნო ხალხთან კავშირი ჩვენს სარწმუნოებას და ზნე-ჩვეულებას ჩირქს სცხებდა და ამის გამო დიდს გაჭირვებასა და მწუხარებაში ვიყავით. ამ დროს დიდის რუსეთის ხელმწიფის გულ-უხვმა მოწყალებამ ჩვენი გული სიხარულის გრძნობით აღავსო და გაბრწყინვალდა იმ იმედების სხივით, რომ ეს უხვი მოწყალება ჩვენამდისაც მოაწევდა და, ადრე თუ გვიან, ქართლ-კახეთის მზგავსად, ჩვენც თავის მოწყალე მფარველობის კალთებ ქვეშ შეგვიკედლებდა. სწორედ ამ იმედებით ვიყავით აღფრთოვანებული, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, შევიტყეთ იმერეთის მეფის სოლომონ II სიჯიუტე და უარყოფა, დეპუტაციის არ გაგზავნაო. ამით ჩვენც წელმოწყვეტილნი დავრჩით, რადგან ვფიქრობდით იმერეთთან ერთად გურიასაც ეშველებოდა რამე; ახლა იმერეთის მეფე სოლომონი, თუმცა ყოველ დღე გვირჩევს რუსეთის წინააღმდეგობას და ოსმალეთის მიკედლებას, მაგრამ მე ჩემს სიცოცხლეში ამის შესრულება არ შემიძლიან... რადგან თქვენთან ერთი სარწმუნოება გვაერთებს, ამისათვის მე გადავწყვიტე ჩემის მამულით, სამთავროთი, შვილით და შთამომავლობით შემოვეკედლო თქვენს ხელმწიფეს, შევიქნე მისი ქვეშევრდომი, მხოლოდ იმავე დიდებით და სახელით, როგორათაც დღესა ვარ და ვიმყოფები. უნდა მექმნეს მთავრის ხარისხი, როგორც მე, ისე ჩემს შთამომავლს; ამასთან იგივე პატივი და დიდება უნდა მექმნეს ჩემს სამთავროში, როგორითაც დღემდის ვიყავი, ან ვარ. თუ ამ გვარის პირობით თქვენი ხელმწიფე მიმიღებს, მე დიდის სიამოვნებით დავთანხმდები და ფიცით დაგიდებთ ხელწერილს, რომ, როგორც მე, ისე ჩემი შვილი და მომავალი, სრული ერთგული და მორჩილი ქვეშევრდომი ვიქნებით დიდის რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე I-ისა. თუ ჩვენის დამოკიდებულობის შესახებ გნებავთ იცოდეთ რამე, უნდა მოგახსენოთ, რომ მე, გარდა ოსმალეთისა, არვის მორჩილი არ ვყოფილვარ. თამარ მეფის დროიდგან დაწყებული დღემდის მე ისეთისავე მთავრის სახელით ვფლობდი გურიას, როგორითაც სამეგრელოში დადიანი. ამისათვის გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ მიიღოთ ჩემი ქვეყანაც თქვენის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ და ამით მომცეთ შემთხვევა ერთხელ კიდევ ვაქო და ვადიდო კაცთმოყვარეობა და მრავალმოწყალება დიდებულ რუსეთის ხელმწიფისა".

ამგვარის შინაარსის წერილი რამდენჯერმე მისწერა თ. მამიამ და დედა მისმა კნ. მარინემ გენერალ ტორმასოვს, რომელმაც პოლიტიკით ისეთი სახე აჩვენა, რომ თითქო უმაღლეს მთავრობისათვის ეგ თქვენი სურვილი არაფერი სახარბიელოაო; თუმცაკი გულში, იცოცხლეთ, დიდად მოხარული იყო, გურიის სამთავრო ასე უსისხლოდ და უომრად თავის ხელმწიფით მფარველობის ქვეშე მიეღო. ამიტომაც იყო, რომ ისეთის ცბიერებისა და ტკბილის სიტყვებით გაავსო საპასუხოდ მიწერილი ბარათი.

„თქვენის ბარათების პასუხად ის უნდა მოგაისენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ შერიფ-ფაშის საწინააღმდეგო ომში თქვენი სიმარჯვე და ერთგულება ჩვენ დღესაც თვალწინ გვიდგია და რუსეთის მართებლობა თავის დღეში ამას არ დაივიწყებს", სწერდა მამიას ტორმასოვი. „დიდებულის რუსეთის ხელმწიფე ამ გვარ ღვაწლს თავის ქვეშევრდომისას არასოდეს არ დაჰსტოვებს ჯეროვნად დაუჯილდოვებელს ამ გვარის სიმამაცისა და ერთგულობისათვის ჩემ მიერ უკვე წარდგენილი ხართ და მიიღებთ კიდეც შესაფერ ჯილდოს. რაიცა შეეხება თქვენს დამოუკიდებლობას იმერეთთან, ამაში დარწმუნებული იყავით, რომ დიდებული რუსეთის ხელმწიფე დიდის სიამოვნებით მიგიღებთ თავისს მფარველობის ქვეშ ცალკე თქვენ, რათა ამით კიდევ უფრო განამტკიცოს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში. ამის წინააღმდეგ ხელმწიფეს არაფერი არ ექნება და ნამდვილ მიღებულ იქმნებით ისე და იმ უფლებით, როგორც სამეგრელოს სამთავრო და დადიანების ოჯახი იქმნა მიღებული რუსეთისაგან". ამ გვარმა ტკბილმა სიტყვებმა მამია უფრო გაახარა და სიხარულით აღტაცებულმა მიართვა რუსეთის ხელმწიფეს ალექსანდრე პირველს ასეთი თხოვნა: „1) ვინაიდგან მივანდე თავნი ჩვენნი ტახტსა უდიდებულესისა დიდისა რუსეთისასა და ვაჩვენე ერთგულება ყოვლითა ჩემითა სამფლობელოთი აღებასა ზედა ფოთის ციხისასა და არა ვრიდე სისხლსა ჩემისა დათხევად უკუნქცევისათვის ტრაპიზონის სარასკრის შერიფ-ფაშისა და ყოვლის ძალით დავემონე ტახტსა რუსეთისასა საუკუნოდ, ამისათვის ითხოვს დიდი თავადი მამია გურიელი, რათა არა მოეღო მას და საუკუნოდ მონათესავესსა მისსა მთავრობა გურიისა და ერნიცა მისნი ითხოვენ საზოგადოდ, რათა არა მიეტაცოს მათ თავისი მემკვიდრე მთავარი და არა იქმნან ყოველთა მცნობელთაგან დაწუნებულ და მეზობელთაგან საზიზღარ.

II.—მე, მიმნდობელი თავისა ჩემისა ყოვლის ღონის ძიებით, შუამდგომლობითა და მის მიერ წინაღრჩევითის მიზეზის ჩვენებითა უფლის საქართველოს უპირატეს მთავარ-მართებელის ალექსანდრე პეტროვიჩის ტორმასოვისათა, ვითხოვ ყოვლად უმდაბლესად, რათა მე და ყოველთა ჩემთა შემდგომთა მონათესავეთა გურიის მემკვიდრეთა გამოგვიცხადებდეს მისის უდიდებულესობის ჩემის

შემდეგ ისევ თავის რაზმს უნდა მიჰპატრონებოდაო. რაც შეხება მინისტრ პელტანის თხოვნას, გუმბერი ჩემს სამინისტროში დანიშნეთო, გენ. ანდრემ მიტომ არ დააკმაყოფილა იგი, რომ კაპ. გუმბერი დიდად გამოსადეგი აფიცერია და შეიძლება თითონ ჩვენვე მოგვიხდეს მისი უკანვე მოწვევაო, და ასეთს აფიცერს სხვას როგორ დავუთმობო. ის ხმები, სამხედრო სამინისტროში დიდი ცვლილება მოხდებაო, ყოველს ჭეშმარიტებას მოკლებულია. უსაფუძვლოა აგრეთვე ის ხმებიც, რომ სამხედრო სამინისტროსა და საზღვაო სამინისტროს შორის შუღლი ჩამოვარდებაო; შესაძლებელია, რომ დროებით რაიმე უთანხმოება არსებობდეს ამ ორ მინისტრთა შორის, მაგრამ განხეთქილებას რა ადგილი უნდა ჰქონდეს, როდესაც მინისტრები თავ-თავის სამინისტროს განაგებენ და სხვას ხელი არა აქვს მათს შინაურს საქმეებში.

ინგლისი. კაპის ახალშენის პარლამენტის პროგრესისტთა დასი გულმწყრალად იყო თავის ლიდერსა და პრემიერ სერ გორდან სპრიგზედ, რად წინააღუდგა იმ მოთხოვნილებას, რომ კონსტიტუცია შეგვეჩერებიაო. ეს იყო მიზეზი, რომ ახალს არჩევნებზედ სპრიგგი გააშავეს და მის მაგივრად ლიდერად დოქტორი სმარტა აირჩიეს.

სმარტა ამას წინად სპრიგგის სამინისტროში იყო საზოგადო სამუშაოთა კომისარად, მაგრამ კონსტიტუციის საკითხში უკიდურესს აზრს ადგა და ამისათვის იძულებული შეიქნა თავი დაენებებია სამსახურისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩამომავლობით ირლანდიელია, იგი მომხრეა სამხრეთ-აფრიკაში ბრიტანიის ტომის გაბატონებისა.

ავსტრია-უნგრეთი. როგორც გაზ. „Politik“-ს დეპეშით ატყობინებენ ვენიდგან, ახალგაზდა ჩეხელთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტს სტრანსკს ამ დღეებში მოლაპარაკება ჰქონია ავსტრიის მინისტრ-პრემიერ კერბერთან. როდესაც სტრანსკის ჰკითხეს, რა შთაბეჭდილება გამოიტანე მინისტრის ნალაპარაკევიდგანაო, მან განაცხადა, მე ისევ ჩემს აზრს ვადგევარო: ვფიქრობ, რომ მთავრობა არ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას ენათა საკითხის შესახებაო. აღარაა დასაფარავი, რომ ჩეხელები კარგად უნდა მოემზადნენ და სასტიკი ბრძოლა აუტეხონ მთავრობასაო. ნუ დაივიწყებთ, რომ კერბერი არამც თუ არ სცდილობს გერმანელებმა რაიმე დაგვითმონ ჩვენ, არამედ იმ პირობებსაც არ ასრულებს, რომელიც რამდენი ხანია აღგვითქვაო; მაგ., არ დართო ნება მორავიაში ჩეხელთა უნივერსიტეტის დაარსებისა; არ დართო ნება ლუდზედ დამატებით გადასახადის შემოღებისა, რომელიც დიდად გააუმჯობესებდა ბოჰემიის ფინანსებს; რეიხსრატის მიერ მიღებული სისტემა არხებისა მხოლოდ მდ. ოდერიდგან იქნება გაყვანილი და სრულებით უყურადღებოდ რჩება ის ოლქები, სადაც ჩეხები მოსახლეობენო და სხ.

ბულგარია. ბულგარიის წარმომადგენელმა მოსთხოვა პორტას, გაანთავისუფლეთ ის ექვსასი ბულგარიის ქვეშევრდომი, რომელნიც ოსმალეთის მთავრობამ დააპატიმრა მხოლოდ იმ ეჭვის გამო, ვითომც იგინი მონაწილეობას ღებულობდნენ მაკედონიის ორგანიზაციაშიო. ოსმალეთის მთავრობას ჯერ არავითარი პასუხი არ მიუცია ამ მოთხოვნილებაზედ.

ბელგია. ბრიუსელიდგან ატყობინებენ „Daily News“-ს, ბურების გენერლებმა დეპეშა მიიღეს ინგლისელ მეგობრებიდგან და ამის გამო უარი სთქვეს თავის განზრახვაზედ —ჯერ ბელგიასა და ჰოლანდიაში მოგზაურობასა და შემდეგ ინგლისს გამგზავრებაზე. ეხლა იგინი წავლენ პირდაპირ ლონდონს, სადაც მოლაპარაკება ექნებათ საახალშენო სამინისტროსთან და შემდეგ რამდენსამე კონფერენციას მოახდენენ შეერთებულ სამეფოს სხვა-და-სხვა ადგილებში.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ბურების გენერლები სამხრეთ-აფრიკის ახალშენთა საკანონმდებლო კომისიაში წევრებად იქმნებიან მიღებულნი. თუ ეს გამართლდა, ეჭვს გარეშეა, რომ ახალშენთათვის თვითმმართველობის მინიჭების საკითხში ბურების გენერლებსა და ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს ერთად ექმნებათ მსჯელობა, რაიცა, უეჭველია, საქმეს რამდენადმე მაინც ბურების სასარგებლოდ დაატრიალებს.

გენერალ დევეტს უკვე დაუმთავრებია თავისი შრომა—სამხრეთ-აფრიკის ომის ისტორია—და მალე გამოვა გასასყიდად, აკლია მხოლოდ წინასიტყვაობა, რომელიც ბოტამ და დელარეიმ უნდა წარუმძღვარონ ამ ფრიად საყურადღებო ისტორიას.

სხვა-და-სხვა წერილები

ინგილო ქალი.

რაც სწავლა-განათლების ლამპარმა მოჰფინა ქვეყნიერობას თავისი ცხოველ-მყოფელი სხივები, რამდენადაც გააპრწყინვა დედამიწის ზურგი და გაანათლა ერი, იმდენად დედაკაცის უფლებამ ფეხი აიდგა, მოიხვეჭა კაცობრიობაში დიდი პატივისცემა. რამდენადაც სახელმწიფო, ანუ რომელიმე ერი განათლებულია, დამდგარი პროგრესიულს გზაზედ, უმზერს წინსვლის გზას ჭეშმარიტისა და უტყუარი შეხედულობით, იმდენად დედაკაცს თანაბარი უფლება და პატივისცემა ეძლევა მამაკაცთან ერთად. ავიღოთ დასავლეთი ევროპა და სხვა განათლებულნი სახელმწიფონი და ცხადად დავინახავთ, რომ დედაკაცს ისეთივე უფლება ენიჭება, როგორიც მამაკაცს. არც ჩვენი სამშობლო ქვეყანა იყო ჩამორჩენილი ამ მხრივ ძველად. ამას ცხადად გვიჩვენებენ და გვიმტკიცებენ ის მაგალითნი, რომ ქართველ ხალხის ჭირსა და ლხინში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ხოლმე არა მარტო მამა-კაცნი, არამედ დედანიც. ავიღოთ მაგ., ბრწყინვალე თამარ მეფის დრო და ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად პატივისა და თაყვანისცემის ღირსი იყო ქართველი დედა. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინა ხვადია“, აი მაშინდელ დროის შეხედულება ქართველისა მამაკაცისა და დედაკაცის დანიშნულებაზე. საქართველომ არ წააგო საქმე დიდებულის თამარის მეფედ არჩევით, პირ-იქით ააფრიალა თავისი უძლეველი დროშა შავი ზღვიდგან კასპის ზღვამდე. დღესაც არამც თუ მარტო ქართველნი, არამედ ის ერნიც, რომლებიც ქართველებს იცნობენ, დიდად თაყვანსა სცემენ და ღირსეულად იხსენიებენ ამ საისტორიო და სამაგალითო არსებას, თამარ მეფეს. თამარის გარდა ბევრმა ქართველმა დედამ ისახელა თავი და არ წაშალა სამშობლო ერის ისტორიის ფურცლებზედ ღრმად ამბეჭდილი და სამარადისო სიტყვები: „ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი? ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხიოს თვისი სისხლი, არ დააკლას თავი თვისი შენს დიდებად, ვითა მსხვერპლი?“

ვინ ჩაუნერგა ქართველს ეს სიყვარული მამულისა, თუ არ ქართველმა დედამ, რომელიც უზრდიდა მას ღირსეულს მამულის-შვილსა. ჩვენდა სამწუხაროდ, დროთა ვითარებამ, ისტორიულმა მიზეზებმა და ცხოვრების უკუღმართად მიმდინარეობამ, საქართველოს ზოგიერთს პროვინციებში ცოტა არ იყოს შელახა ბევრგვარი უფლება დედაკაცისა. საინგილოში-კი ეს ასე არ არის.

საინგილოში დედაკაცს ძველ დროიდგანვე, როგორც ოჯახში, ისე გარედ დიდი პატივი და თაყვანისცემა ჰქონდა. დედა აქ იყო და არის ჭეშმარიტი აღმზრდელი ახალის თაობისა; დედები სიპატარავიდგანვე უნერგავდნენ თავიანთ შვილებს ღვთის შიშსა და მამულის სიყვარულს. ინგილო დედა, რომელიც ისტუმრებდა ქმარს და შვილს მტერთან საბრძოლველად, თვითონ ოჯახს უვლიდა, შვილებს უნერგავდა გულში სამშობლოს სიყვარულსა და ძველს გადმოცემებსა. თუმცა ინგილოების მეზობელმა ხალხმა (ლეკებმა) ქრისტიანობას დევნა დაუწყეს და სცდილობდნენ ინგილოები გაემაჰმადებინათ, მაგრამ აქაც ინგილო დედამ გამჭრიახობა გამოიჩინა და მტერს პირ და პირ შეებრძოლა. დღესაც არიან იმ დროის მომსწრე ინგილოები, რომლებსაც ათობით და ოცობით უხოციათ ლეკები. ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია ის, რომ დღესაც ინგილოს ხსენება და სახელი ლეკისათვის თავზარ დამცემია. რაიც შეეხება ქრისტიანობის დაცვას, ესაც მთლად უნდა მივაწეროთ ინგილო დედების მტკიცე და შეურყეველ ხასიათსა. ინგილო დედას თუ ცხადად ეშინოდა მტრისა, ფარულად მაინც ასწავლიდა შვილებს და თვით ასრულებდა მღვდელ-მოქმედებას, რადგან მღვდელნი მტერს ამოეწყვიტა და ეკკლესიებიც მტრისაგან შემუსვრილ-განადგურებულნი იყვნენ. დღესაც ინგილოებში, მღვდლის გარდა, მიცვალებულის ტაბლას ქალებიც აკურთხებენ. ეს კურთხევა გამოიხატება შემდეგში: უფროსი ქალი ჩაჰყრის საკმეველს რაიმე ცეცხლით სავსე ჰურჭელში და გარს უვლის მიცვალებულის ტაბლას; იმავე ჰურჭელში ჰყრიან საკმეველს ყველა თანადამსწრე ქალებიცა და კაცებიც სათითაოდ. ამას ინგილოები ეძახიან „საკმლის ჩაყრას“. „საკმლის ჩაყრა“ ინგილოებმა იციან: ხორციელის შაბათს, შუა მარხვას (ინგილოები კორკოტობას ეძახიან) და ყველა საუფლო დღესასწაულს. მკვდარზედ წირვას: შვიდზედ, ორმოცზედ, წლის თავზედ ინგილოები „სულის პურს“ უწოდებენ.

დღესაც ქალის როლი ინგილოს ოჯახში ძალიან რთულია და ფრიად სამძიმო. იგი განაგებს ყოველივე საქმეს ოჯახისას და, თუ მომეტებულად არა, თანაბრად მაინცა სწევს მამა-კაცთან ერთად ოჯახის უღელსა. პატივისცემა და დაფასება კარგის ქალისა ინგილოებმა იციან. თუ დაინახეს რომ რომელიმე გასათხოვარი ქალი ლამაზია და კარგი მეოჯახე, ყველა იმასა სცდილობს, თავის რძლად წაიყვანოს და ახარბებს ფულს ქალის პატრონსა. ინგილოებისავე სასიქადულოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ იგინი დანიშნის დღიდგანვე ქალს სასიძოს ხელში არ აგდებენ, როგორც, თითქმის, ჩვეულებად არის გადაქცეული ქართლ-კახეთში. თათრებისა და ლეკების გავლენას ინგილო დედებზედ მხოლოდ იმით უმოქმედნია, რომ დღეს ინგილო ქალს ქართული ტანისამოსი-კი არ აცვია, არამედ თათრული. მაგრამ ეს ჩვეულებაც, იმედია, მალე ამოიფხვრება, რადგან ამ ბოლოს დროს ინგილოებმა (ზოგიერთმა) ქიზიყიდგან მოიყვანეს ქალები, რომლებიც თავიანთ შვილებს ქართულ ტანისამოსს აცმევენ. თუმცა ეს მოვლენა ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ამ შემთხვევაში სკოლებს ემოქმედნათ და სიპატარავიდანვე შეეყვარებინათ თავიანთ მოწაფე ქალებისათვის ქართული ტანისამოსი.

გ. ფარადაშვილი.

საქმიანად

„სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალან.

(„კვალი“ № 34)

კაი ხანია, რაც „კვალის“ ფრთით „სამშობლოს ცაზედ“ კრიახებს მარქსის ერთი ჩვენებური ჭუკი. უაზრო და უსაგნო ფარფატმა სულ გამოუღაყა თავი ამ ბეჩავ ფრთოსანს. მაშ რაღა საკვირველი უნდა იყვეს, რომ ფრატუნა და ხეტიალა ჭუკიას ყველგან ბარტყები ელანდებოდეს და ეზმანებოდეს: «ივერიამ» დაუე კვერცხებიდგან სამი, ერთი მეორეზე მიყოლებული, ბარტყი გამოუშვაო; ერთი—ნინია გარუჯელი, მეორე—უღვეძლი და მესამე—ქსნის პირელი... თუ-კი ბარტყების გამოჩეკაზედ საქმე მიდგა, „ივერია“ რა ხელწამოსაკრავი იყო, „კვალი“ იქ არ იყო. იმ თავითვე „კვალმა“, ნოე ჟორდანიას პირით, აკი აგვითქვა, რომ გამოჩეკა მარტო ჩემი მოვალეობაა, **„ჩვენი მიზანია მომავლის დაბადებას დავეხმაროთო“** *). ამ ბებიამ, ღვთის წინაშე, აღთქმა არც გასტეხა, მომავლის დაბადებას დაეხმარა და მალე ერთი მეორეზედ „გამოუშვა“... ჯერ ლილიპუტი პუბლიცისტი რიგოლეტო და მერე მიკროსკოპიული პოეტი კვდოშვილი!.. მოჭყოლია მარქსის ჭუკია და რიგოლეტოს ხმით კრიახებს: „ივერია“ ხან ძმობასა და ერთობასა ქადაგებს და ხან კიდევ ამის წინააღმდეგს გაიძახისო—„მეტიც არის, რომ ქართველ ხალხს უქადაგო ძმობა და ერთობა იქონიე მეზობელთანაო“, „ივერია“ უტაკებს „ივერიასაო“... მართლაც-და, „დაყის კვერცხიდგან“ გამოჩეკილი უნდა იყვეს „სამშობლოს ცაზედ“ მოხეტიალე ვითომდა პუბლიცისტი, რომ ვერ გაიგოს წინად რას ამბობდა „ივერია“ და ეხლა რას ამბობს. წინად ჩვენმა გაზეთმა აღიარა, რომ ქართველთა შორის წოდებრივი განცალკევება უნდა განიდევნოს, მის ნაცვლად მიღებულ იქმნას ძმობა და ერთობა. და ეს უნდა იყვეს ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპიო. ბ-ნ ქსნის პირელმა-კი სულ სხვა სთქვა. იგი შეეხო მხოლოდ სამეზობლო ურთიერთობას, სომხებთან დამოკიდებულებას და დასძინა: ჩვენ რას მოგვდგომიხართ და ჩაგვჩიჩინებთ—ძმობა და ერთობა იქონიეთ მეზობლებთან, მაგის წინააღმდეგი არასოდეს არ ვყოფილვართ და ეგ მოძღვრება იმათ უქადაგეთ, ვინც არღვევს ძმობასა და ერთობასაო... როგორც ჰხედავთ, წინად ერთს საგანზედ იყო ბაასი და ახლა მეორეზე. ამ უბრალო ლოგიკასაც ვერ მორევია რიგოლეტო და „სამშობლოს ციდამ“ კი გადმოიძახის —„წარსული “ივერია“ გადათელა ახალმაო“!.. მაგრამ ჩვენ რაღას ვამბობთ, ლოგიკა რა რიგოლეტოს საქმეა! „სამშობლოს ციდამ“ რიგოლეტო უმეტეს ნაწილად ხატსა, საკმელსა და წმინდა სანთელზედ გველაპარაკება. კილოსაც ხომ ნამდვილ „დიაკვნურსავე“ ჰხმარობს. უკაცრავად-კი გართ და ამისთანა „პუბლიცისტს“ უფრო დავითნი უნდა ეჭიროს ხელში, თორემ სხვა და-სხვა აზრის გამო კამათი და ლოგიკური ვარჯიში, აბა, თქვენს მზეს, რა იმისი შესაფერი და საკადრისი საგანია!..

თუმცა ასეა, მაგრამ რიგოლეტო თავისას არ იშლის და უფრო დიდ-დიდს აზრებს ებღაუჭება. მაინც ასეთია ყველა კაცუნა-კაცის თვისება! ქონდრის კაცმა თავისი ადგილი არასოდეს არ იცის და ყოველთვის მაღლა მიიწევს. რიგოლეტომაც ამიტომ ამოჭყო თავი დედა-მიწიდან ცაში! მაგრამ ხომ მოგეხსენებათ— „ჭიანჭველას რომ ფრთები გამოესხმის, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო“. რიგოლეტოსაც ეგრე დაემართა—ღმერთი მაშინ გაუწყრა, როცა დედა-მიწას არ

---

*) იხ. ნოე ჟორდანიას საპროგრამმო წერილი „რედაქციისაგან“.

ხელმწიფის ნებათა და ბრძანებათა საქართველოს უპირატესი მმართებელი და მის მიერითა ბრძანებითა აღვასრულებდეთ მებრ ძალისა ჩვენისა მსახურებათა და გარდა მისსა არა იყოს მმართებელი ჩვენი არავინ კაცთაგან ქვეყნისა ამის გინა აზიისა და თვინიერ მისის უდიდებულესობის ხელმწიფობისა გვაქვნდეს ქვეყანასა ჩვენსა თავისუფლება, ვითარცა ცხად ჰყოფს ძველი წერილი პორტის სულთნისა და ყოველთაგან ცნობილ არს ჩვენი თავისუფლება ჟამთა საქართველოს მეფეთათა.

III.—კვალად თხოვნა მესამე ჩვენი, რათა ყოველთა ზედა მიფენილი საღმრთოებრი მოწყალება მისი მოიწიოს ჩემზედა და მოწყალებითა მისითა მოგვეცეს შემწეობა მის მიერ ძლიერი და აღმოვიგოთ მამა-პაპათა ჩვენთა სამკვიდრონი სოფელნი, რომელნიც უპყრიესთ ოსმალთა სოფელნი ჩვენნი და კვალად სხვა იმერეთშიგან, თუმცა არღა იქმნას მეფობა ბაგრატიონთა და სხვათა მიეცესთ ძველი სამკვიდრონი მათნი, მებოძოს მეცა სამკვიდრო ჩემი სოფელი ჩემი საჯავახოსა...

IV.—დასასრულ, ვითხოვ, რათა, თუმცა აზიურისა ჩვეულებითა ყმათა ჩვენთა ითხოვონ ჩემგან განვრდომა და თავისუფლება, არა მიენიჭოსთ მათ და, ოდეს ვითხოვო მე საქმისათვის სარგებლობა, გინა რომელისამე ციხის დაქცევისათვის, გინა ზღვისა ბოლაზისათვის, მომეცეს მეროტა ანუ ბატალიონი, რაოდენსამე ჟამსა და აქვნდეს ბრძანება ამისი იმერეთსა შინა მყოფსა შეფსა, რომელთათვის ვიქმნე უკანასკნელესი მონა მისი მარად განმზადებულ დათხევად სისხლთა ჩემთა და შევავედრებ ყოველთა მონათესავეთა ჩემთა მფარველობისა ქვეშე მისის უდიდებულესობისასა საუკუნოდ გამოუსვლელად. გურიელი მამია“.

II

ამ თხოვნასთან ერთად გაუგზავნა ტორმასოვს გურიელმა მისაღებ პირობის მუხლებიც, რომლითაც ითხოვდა რუსეთის ხელმწიფისაგან შემდგომს: 1) მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელი თ. მამია სვიმონის ძე გურიელი, მფლობელი და მბრძანებელი მთელის გურიისა და მის კუთვნილ ყველა ქვეყნისა, დღეის დღიდგან, სახელდობრ ამ პირობის დაწერის დღიდგან, ფიცით ვიკვრი, რომ შემოუერთდე მთელის ჩემის ქვეყნებით, დიდის რუსეთის ხელმწიფეს ალექსანდრე პავლეს ძეს და ვიყო მისი ბრძანებების და ნების აღმსრულებელი. 2) როგორც მე, ისე ჩემს შვილს და შთამომავლობას, ნება ექმნეს იწოდებოდნენ მთავრებად და ეძლეოდეს მათ დიდის რუსეთის ხელმწიფისაგან ღრამოტა. 3) მთელი ჩემი ქვეყნები დაცული უნდა იქმნენ გარეშე მტრებისაგან რუსეთის მძლავრის და ყოვლად შემძლე ჯარისაგან, რისთვისაც საჭიროა რამდენიმე ჯარი მუდმივად აქ სცხოვრობდეს და იცავდეს ჩემს სამფლობელოს მტრებისაგან. 4) როგორც მე, ისე ჩემს შთამომავლობას, ნება უნდა გვექმნეს თავისუფლად მთავრობისა, ამასთან სრული ნება უნდა მექმნეს ღირსეულის ქვეშევრდომის დაჯილდოვებისა და უღირსის დასჯისა. რადგან მთავარ-მმართებელმა გენ. ტორმასოვმა გამომიცხადა, რომ სიკვდილით დასჯა ან და სხეულის რომელისამე ნაწილის მოკვეთა დამნაშავეთა რუსეთის სახელმწიფოში არ არის შემოღებული, მაშინ ნება მექმნეს კაცის მკვლელს, ქურდს, ავაზაკს და მძარცველს სხვა სასჯელი მივსცე და გავასამართლო იგი სამხედრო სასამართლოით. 5) მის იმპერატორებით უდიდებულესობის უხვის ხელის მოწყალებას ზოგიერთ შემოსავლის შესახებ არ ვიქმნე მოკლებული, ასე რომ, თუ ჩემს სამეფოში რაიმე ოქროსი ან ვერცხლის მადნები აღმოჩნდება, მათ დასამუშავებლად რაიმე ქარხნები და ფაბრიკები გაიხსნება, შემოსავალში მეც ნაწილი ნუ დამეკარგება. 6) თუმცა ჩემს სამფლობელოში მოწყალე ხელი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა რაიმე ქალაქს გააშენებს, იქიდგანაც მქნეს ნაწილი შემოსავლისა. 7) პირობას ვსდებ, რომ ყოველივე ბრძანება, როგორც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, აგრეთვე აქაურ მთავარ-მართებლისა და სხვათა ჩვენთა უფროსთა კრძალვით მივიღო და წყნარად, ულაპარაკოდ შევასრულო. 8) ჩემს სამფლობელოში უნდა იდგეს რუსის ჯარი, რომლის შესანახავად ვალდებული ვარ მივსცე: თივა, ქერი, ღომი და ყველა საჭირო საკვები სურსათი. 9) თუ ჩვენს ტყეებში აღმოჩნდება ისეთი ხეები, რომელიც ხომალდების გასაკეთებლად ივარგებს, მაშინ არც მე და არც ჩემს შთამომავლობას არ გვექნეს ნება ამაში ფული ვითხოვოთ. მხოლოდ მუშის ფული, რაც ერგებათ, უნდა გადიხადოთ და მასალას ჩემი ხალხი შავი ზღვის ნაპირას მოგიტანთ 11) თუმცა ჩემს სამფლობელოში თქვენის ხარჯით ბოლოზი (ПОРТЪ) გაკეთდება, მაშინ მეც ნაწილი უნდა მექნეს შემოსავალში და თუ არა, ნება მექნეს ვახდევინო ბაჟი მათ ისე, როგორც დღემდის ვახდევინებდი. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თუ მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოწყალება იქნება ჩემს თავზედ, მაშინ ნიშნად ჩემის უფროსობისა ჩემ ქვეშევრდომთა იმედი მაქვს განსხვავებული ვიქნები ჩინით და მის კუთვნილ ხმლით, რომელსაც ამასთანავე ვითხოვ მომეცეს.

ამით თავდება ეს თხოვნა. ზედ აწერია ხელი თვითონ მამია სვიმონის ძის გურიელისა, რომელიც ამბობს, რომ ამ თხოვნას ხელის მოწერითა ჩემითა ვამტკიცებ მე და ვალდებულად ვხდი, როგორც ჩემს თავს, ისე ჩემს შთამომავლობას, რომ ყველა აქ მოხსენებული მუხლი მტკიცედ და შეურყეველად იყოს დაცული. ეს თხოვნა არის დაწერილი და მამიასაგან ხელმოწერით დამტკიცებული 1810 წელს ივნისის 19-ს *). ორივე ეს თხოვნა თ. მამიამ დასწერა და თავის ბიძის თ. ქაიხოსრო გურიელის ხელით გაუგზავნა გენ. ტორმასოვს, რომელმაც მიიღო, წაიკითხა და სიამოვნებით აღვსილმა მისწერა თ. მამიას შემდეგი ბარათი: „თქვენო ბრწყინვალებავ! თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი და მასთან თქვენი თხოვნა დიდის რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობის შესახებ თქვენის ბიძის თ. ქაიხოსრო გურიელის ხელით უკვე მივიღე და დიდათაც ვისიამოვნე, რომ თქვენ მაგვარ სწორ გზაზედ დამდგარხართ. სრული დარწმუნებული ვარ, რომ ეს მშვენიერი აზრი და გულახდილი თქვენი გრძნობანი შეწყნარებული იქნება ყოვლად მოწყალე და კაცთ-მოყვარე დიდებულ რუსეთის ხელმწიფისაგან და, ბევრთა მრავალთა სხვათა მათ ბედნიერ ქვეშევრდომთა შორის, თქვენც გექნებათ ადგილი და მიღებულ იქმნებით. მე მხოლოდ მსურს, როგორც თქვენს თანამგრძნობელს და მეგობარს, თქვენდა სასარგებლოდ, შევთხზა რამდენიმე მუხლი ახალის ხელშეკრულობისა და გამოგიგზავნოთ თქვენ ხელის მოსაწერად. ეს ისეთი ხელშეკრულობაა, როგორითაც მიღებულ იქმნა რუსეთის ქვეშევრდომად გრიგოლ დადიანი. გიგზავნით-რა ამ ხელშეკრულობას, გთხოვთ ყველა მუხლს შეუცვლელად ხელი მოაწეროთ, თქვენი ბეჭედი დაასვათ და გენ. სვიმონოვიჩს გადასცეთ, რათა სვიმონოვიჩს შეეძლოს დაუყოვნებლივ წარმომიდგინოს და მე ჩემისავე აზრის წარწერით მსწრაფლ წარვადგენ მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის წინაშე. ამასთან ისიც უნდა მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ ვიდრე ამას ხელს მოაწერდეთ, საჭიროა, რომ შეასრულოთ შემდეგი პირობანი: ერთი, რომ მიიღებთ თუ არა პირადათ ფიცს რუსეთის ქვეშევრდომობისას, ვალდებული ხართ მიაღებინოთ ასეთივე ფიცი ყველა თქვენს ქვეშევრდომ თავადს და აზნაურს. მეორე, აზიურ ჩვეულებისამებრ უნდა მომცეთ ქ. ტფილისში ამანათად (მძევლად) სამი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი თ.თ. ერისთავების, ნაკაშიძეების და თავდგირიძეების გვარეულობისა. ეს ყმაწვილები იცხოვრებენ ტფილისში და იქნებიან მიცემული სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, სადაც შეისწავლიან სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნებს და ენებს, როგორც დრო და ჟამი მოითხოვს. მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს სამი ყმაწვილი კაცი უსათუოდ ამ გვარებისანი უნდა იყვნენ. მესამე ის, რომ თქვენ არ გექნებათ ნება დღეის დღიდან რაიმე კავშირი იქონიოთ თქვენს მეზობელ ხალხთან, არ გექნებათ ნება მიიღოთ და გახსნათ არც მცირე და არც დიდმნიშვნელოვანი მოწერილობანი. ეს მოწერილობანი, თუ-კი იქნებიან თქვენ მიერ მიღებულნი, ვალდებული ბრძანდებით გაუხსნელადვე გარდასცეთ ან იმერეთის დროებით მმართველს, ან იმ ობერ-აფიცერს, რომელიც საზღვარზედ იდგება და ან მე პირადათ. ამ მუხლების შესრულებას, როგორც ყველა რუსეთის ქვეშევრდომნი, ისე თქვენც ახლავე შეუდგებით, რის შესახებაც ამასთანავე ეგზავნება მიწერილობა გენ. სვიმონოვიჩსაც. დასასრულ, არ შემიძლიან ჩემი გულითადი მადლობა არ გიძღვნათ იმის გამო, რომ შემთხვევა მომეცით და თქვენი ბიძა თ. ქაიხოსრო გურიელი პირადათ გავიცანი. იმასაც ვუთხარი და თქვენც გარწმუნებთ, რომ მე ყოველთვის მზად ვარ ამ გვარი თქვენი სურვილი დაუყოვნებლივ ავასრულო და ხელმწიფე იმპერატორთანაც კარგად წარგადგინოთ, ოღონდ თქვენ ნუ აჰყვებით სხვას და ამ ჭეშმარიტ გზას ნუ გადაუხვევთ... რაც შეეხება თქვენს ჩინს და განსხვავებას, თქვენ ამ დღეებში მოგივათ რუსეთის მხედრობის პოლკოვნიკის ჩინი და მასთან მუნდირი და ხმალიც, რომელსაც ასე მოწიწებით მოელით *).

თ. ხუსკივაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) აქტები, გვერდი 438.

*) წერილი გენ. ტორმასოვისა მამია გურიელთან 12 აპრილს 1810 წელს № 309.

დასჯერდა, ფრთები შეისხა, „სამშობლოს ცაში“ აფრინდა და ამ სიმაღლიდგან დაიწყო მოძღვრება. მოგეხსენებათ, რომ „ივერიაში“ ამას წინად დაბეჭდილი იყო პლებსის „მასლაათი“, სადაც ავტორი ამბობდა: „წოდებრივი თავ-კერძობა თითონ თავად-აზნაურობას აზარალებს, ვინაიდგან თითოეულ წოდების ხსნა და შველა ერთობასა და ძმობაშიაო“... „სამშობლოს ცაში“ მეტად ფრთებ-გამოსხმულ ლიტერატურულ ჭიანჭველას არ მოსწონებია ეს „ცუდი“ ძმობა და ერთობა და გვეკითხება—„ნეტა შეგვატყობინა, რომელ წოდებასთან უნდა რომ დააძმობილოს მედროშე თავად-აზნაურობა „ივერიის“ პლებსმაო? „მოგეხსენებათ: მთელ ქართველობასთან, თითოეულ წოდებასთან. მაგრამ მარქსის ჭუკიას მარტო „მუშა“ და „კრუა“ ეპიტნავება და „ძმობილობაც“ იმათთან ჰსურს. ჰო და, აბა, რას გვგანებოდა, რომ ყოველნი ქართველნი ერთი ძმანი ყოფილიყვნენ? იქნება თქვენც გსმენიათ ის სიბრძნე, რომელსაც „კვალის“ რიგოლეტო აღიარებს: თავად-აზნაურობა სოციალურ სხეულის მეჭეჭი და ხორცმეტია, რომელიც დოსტაქრის დანით უნდა მოიჭრასო. ამ წოდებასთან ძმობას რიგოლეტო აბა რად იკადრებს! თუმცა, ღვთის წინაშე, არავინ ემუდარება, მაგრამ მაინცკი თავს იდებს და დიდ ყარზედაც არის: „დაგვილოცნია გზა, ბ-ნო პლებსოო, მაგისთანა მედროშეს (თავად-აზნაურობას) შეგიძლიანთ თქვენვე მიჰყვეთო“... და თითონ-კი „კრუებს“ და „ყარაბადელებს“ მისდევს, იმათ უდგია გვერდით და თავს ევლება!.. ქართველობაც სწორედ აი ესეთი უნდა, თორემ რის მაქნისი იქნებოდა, ქართველ აზნაურს და ქართველ გლეხს ერთად უღელი და ჭაპანი ეწიათ! ეროვნობა რას მიქვიან—იგი ხომ კონსერვატორობის და რეტროგრადობის ნიშანია!..

ჩვენც გზას გილოცავთ, ბ-ნო რიგოლეტო, მაგრამ ნახავთ კი, სადაც ეგ გზა მიგიყვანთ!..

„პლებსისთვის ქართველ ხალხის, გლეხობის მეურნეობა არ არსებობსო“, ასე ამბობს რიგოლეტოს ტუჟი... რა მოკლე-ფეხა ტყუილია! რა ბალღური ტიტინია!.. პლებსმა მარტო თავად-აზნაურობასა და მის მეურნეობაზედ იმასლაათა და ეს განა ამტკიცებს, რომ პლებსი გლეხის მეურნეობას უარჰყოფს?!..

პლებსი ამტკიცებდა, თუ თავად-აზნაურობას ხელიდგან მამული გამოეცლება, მაშინ ირიგაცია და ჰაერში სასროლი არტილერია რა ჯანაბად უნდა ამ თავად-აზნაურობასაო. რიგოლეტოს ღირსეულს ტოლს-კი ეს აზრი ისრე გაუგია, ვითომ პლებსი ამბობდეს, საზოგადოდ სამეურნეო რეფორმა რა საჭიროა, თუ თავად-აზნაურობას მამული აღარ ექმნებაო. აი სწორედ ამაზედ იტყვიან:—„საიდგან სადაო, წმინდაო საბაო!“ კარგს მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო!..

მაგრამ კმარა, ხომ მოგეხსენებათ: ჩიტი ბდღვნად არა ღირდა და დევნა მეტი იყოო“. რიგოლეტოს და იმის დამქაშს თუნდ მილიონ ლოგიკაც თავზედ დააბერტყოთ, მაინც ვერას შეასმენთ. თუნდ ეგრეც არ იყვეს, რიგოლეტო თავისას არ დაიშლის: ჩვენი საკენკი წაიტყუებს და „სამშობლოს ცაზედ“ ხეტიალსა და ფართხალს უფრო მოუმატებს. მაშ ზოგი იმ დროისთვის იყვეს...

ბზიკი.

წერილი

რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულის „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო დუშეთის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ბ. სპირიდონ გაბელაშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო სტეფან-წმინდის სკოლის წიგნთ-საცავს ოცდა ათი სხვა-და-სხვა ქართული წიგნები თორმეტი მანეთისა.

ამასთანავე არ შემიძლიან არ მოვახსენო მკითხველს ზოგი-რამ შესახებ ბ-ნ კალმისწვერას წერილისა („ივერია“ № 158) ამ წერილის წაკითხვის დროს მკითხველს უეჭველად ეჭვი დაებადებოდა სტეფან-წმინდის სკოლის და წიგნთ-საცავის დღევანდელ გამგესა და მასწავლებელზე, რომელთა წყალობით წიგნთ-საცავს, კალმის წვერას სიტყვით, ბევრი წიგნი დაეკარგა. კალმის წვერას აღარ გაუწევია შრომა, რომ ყოველის ეჭვის ასაცილებლად აღენიშნა, რამდენი წიგნი დაიკარგა, როდის და რომელ მასწავლებლის და გამგის ხელში. ამიტომაცაა, რომ ბრალი ჩვენ, დღევანდელ გამგეს და მასწავლებელს (მე და მ. მარკოზოვს), გვედება და ერთის შეხედვით მკითხველიც სხვა თვალით შემოგვხედავს. მე სტეფან წმინდის სკოლის გამგეთ ვითვლები 10 აპრილიდგან 1901 წ. წიგნთ-საცავი მართლა უნუგეშო მდგომარეობაში დამიხვდა. ვნახე გ. ნათაძის მიერ შედგენილი რვეული (კატალოგი); შევამოწმე წიგნთ-საცავი და, რაც საუკეთესო გამოცემები იყო ჩვენი მწერლებისა, აღარც ერთი არ აღმოჩნდა; თითქმის ნახევარი აკლდა. მასწავლებელს ბ. კვაჭაძეს ვკითხე, რა იქნა წიგნებიო. მე ესე ჩავიბარეო, მიპასუხა მან. მეც ვეღარა გავიგე-რა დაკარგულ წიგნების გზა-კვალისა. ავნუსხე დაკარგული წიგნები და, სადაც ჯერი იყო, ფორმით წარვადგინე. რაც ნათაძის შემდეგ წიგნები შემოეწირათ, სასტიკ დამნაშავესავით თოკით იყო შეკრული და ეგდო უსარგებლოდ. რაც აღმოჩნდა ან ნათაძის რვეულით, ან მის გარეშე, ყველა ავნუსხე და დაბეჭდილ კატალოგში მოვათავსე რიგზე. ამ ჟამად წიგნთ-საცავს აქვს 217 სხვა-და-სხვა რუსული წიგნი 544 ეგზემპლიარად, ხოლო ქართული 313 წიგნი 1008 ეგზემპლიარად. რაც ხანი ვარ სტეფან-წმინდაში, ბევრი შეემატა წიგნთ-საცავს და მომავალშიაც ვეცდები, დაკარგვის ნაცვლად, კიდევ შევმატო.

ბლაღ. მღ. ნიკიფორე კანდელაკი.

II

ბ-ნო რედაქტორო!

„ივერიის“ № 158 მოთავსებულია ბ-ნ კალმის წვერას წერილი, რომელშიაც ავტორი სხვათა-შორის ეხება სტეფან-წმინდის სამკითხველოს. „ჩვენდა სამწუხაროდაო, ამბობს ავტორი სტეფან-წმინდის უფასო სამკითხველოზედ, მისს უზრუნველყოფილობაზედ ეს არ ითქმის (რაც ბრძანა ავტორმა სნოს სამკითხველოს შესახებ). ბევრმა გამოცემამ ანუ წიგნმა გამოიარა სამკითხველოს კარები სტეფანწმიდაში, გამოეთხოვა თავის სცოდავს თანამოძმე წიგნაკებს და გამოცემებს, გამოემშვიდობა, რომ უკან აღარ დაბრუნებულიყო“.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ავტორი შარშანაც შეეხო („ივერიაში“ № 136 1901 წ.) სტეფან-წმიდის სამკითხველოს თავისს წერილში, სადაც წიგნების და გამოცემების დაკარგვაზედ კრინტს არა სძრავდა, უნდა დავასკვნათ, რომ, თუ რამე დააკლდა სტეფან-წმინდის სამკითხველოს, ეს ყველაფერი მოხდა ჩემის მასწავლებლობის დროს, ე. ი. ამ მიმდინარე წელში. მე-კი მოვახსენებ ავტორს, რომ რაც წიგნები და გამოცემები დამიხვდა, იგინივე დავუტოვე სამკითხველოს. აშკარაა, რომ წიგნები დაკარგულია ჩემს მისვლამდის. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ადგილობრივ ბლაღოჩინს მღვ. ნ. კანდელაკს, დაუთვალიერებია რა ჩემს მისვლამდის სტეფანწმიდის სამკითხველო, ბევრი წიგნაკი და გამოცემები უცვნია დაკარგულად, რაც დროზედ უცნობებია სკოლების ინსპექტორის ქეტიხი მამინაიშვილისთვის.

ამის შემდეგ ვკითხავ ავტორს: რისთვის მომახვია მე სხვისი ჭირი? რა მიზანი ჰქონდა, როცა აგეთ სიყალბეს იდენდა? ჩემის აზრით ავტორს თავისს პირიმზეების ასამაღლებლად თუ დასჭირდა სხვის პატიოსნების და სიმართლის შელახვა?

ს. სტეფან-წმიდის მასწავლებელი მ. მარკოზაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 აგვისტო

ვარშავა. დღეს ვარშავიდგან კალიშამდე პირველი მატარებელი წავიდა მოსამსახურეებით. მგზავრთა და საქონლის მატარებლები შუა ნოემბერში დაიწყებენ სიარულს.

ხარკოვი. არქეოლოგთა კრება. უნივერსიტეტის დარბაზში დილით—კრება იყო ეტნოგრაფიისა, ისტორიულ გეოგრაფიისა და სიძველეთა სექციისა; თავმჯდომარეობდა მარკევიჩი; წაიკითხეს რეფერატები კრასნოვისა და პადალკასი. საღამოს—კრება ჰქონდა საეკლესიო სიძველეთა სექციას, თავმჯდომარეობდა პლატონოვი; წაიკითხეს რეფერატი ტროიცკისა. ხვალ პირველი ექსკურსიაა დანიშნული ხოროშევსკის ქალთა მონასტრის დასათვალიერებლად. კრებას ბევრი მოსალოცი დეპეშები მოუვიდა.

ბერლინი. იტალიის მეფე და იმპერატორის სახლეულობა დაესწრნენ გვარდიის კორპუსის აღლუმს. გუშინ მეფემ მიიღო კანცლერი და დიდ-ხანსაც ლაპარაკი ჰქონდა მასთან.

პეტერბურგი. 17 აგვისტოს ჩამობრძანდნენ აქ მეფე და დედოფალი საბერძნეთისა და აქედგან პეტერგოფს გაემგზავრნენ.

17 აგვისტოს ეგერთა პოლკის დღესასწაულს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული.

18 აგვისტო

პეკინი. ჩინეთში ყოფილ იაპონიის ჯარის უფროსი გენერალი იამანი დაინიშნა იაპონიის სამხედრო აგენტად პეკინში. ფიქრობენ, ჩინეთის მხედრობის რეფორმა დაევალა გენ. იამანისო.

პარიჟი. გაზეთ „მატენ“-ის სიტყვით, პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი დეკრეტს, რომლის ძალითაც ელჩებად ინიშნებიან: ბიჰური—ბერლინში, კამბონი—მადრიდში, ბომპარი—პეტერბურგში, ჟიუსერანი — ვაშინგტონში, რენდერი—ბერნში დი კროზიე—კოპენჰაგენში.

პეკინი. ოფიციალურს გაზეთებში გამოცხადებულია იმპერატორის ბრძანება, რომლით მთელს იმპერიაში გაუქმებულია ლიკინის გარდასახადის ამკრეფი სადგურები. ეს გაუქმება იმით არის დასაბუთებული, რომ ახალ სავაჭრო ხელშეკრულებათა შემუშავების დროს შეთანხმება მოხდა სხვა-და-სხვა ბაჟის მომატების შესახებაო.

19 აგვისტო.

პეტერბურგი. აგვისტოს 18-ს, ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაკრძალეს სევასტოპოლის ომის მონაწილე გენერალ-მაიორი დელსალი.

ვარშავა. აქაურ დამზღვევ საზოგადოებათა განიზრახეს იყოლიონ ერთი ჯგუფი მოსამსახურეთა—ოც კაცამდე,—რომელთაც ცეცხლის გაჩენის დროს ცეცხლს უნდა გადაარჩინონ მოძრავი ქონება.

კიევი. ბერდიჩევში გაიხსნა სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა.

ლიუქსენბურგი. ლიუქსენბურგის მემკვიდრე პრინცმა, ნადირობიდგან დაბრუნებისას ფეხი მოიტეხა. ავადმყოფის მდგომარეობას არა უშავს-რა.

ლონდონი. დილით მოვიდნენ ბოტა, დევეტი და დელარეი.

ვილდპარკი. მათნი უდიდებულესობანი ახალ სასახლიდგან 9 საათ. მობრძანდნენ სადგურზედ. მათნი უდიდებულესობანი ერთმანეთს მეტად გულითადად გამოესალმენ. მეფეს თან ახლდა საპატიო ამალა.

ბირმინჰამი. სამხედრო მედლების დარიგების გამო ჩემბერლენმა პასუხი გასცა მთავრობისადმი მიმართულს საყვედურზედ, ვითომც ჯეროვანად ვერ იყო მომზადებული ომიო. მისის აზრით, სახელმწიფო არაოდეს არ იკისრებს იმდენს ხარჯს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ მუდამ ჟამს მზად იყოს საომრად; ყოველთვის საჭირო იქნება ხალხის პატრიოტიზმისადმი მიმართვა, რომ ამით შევსებულ იქმნას სისუსტე მუდმივის ჯარისაო. თუ ინგლისი გამარჯვებული გამოვიდა უკანასკნელს ომიდგან, ეს, თუ არ სავსებით, უმეტესად მაინც, ნებით მეომართა წყალობააო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	$46,27^1/_2$
პარიჟში ,,	$37,62^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2—6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$97\ ^1/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$291\ ^3/_4$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—12)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვების გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილის დღიური მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობის გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მოგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევკრიბეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულის თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალების და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გირ. ი. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	“
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისთვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტონისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ.

(6—5)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუღალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღალტერობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (კორესპონდენცია) 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—21)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.